www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

# 2018

## I კვარტალი

21.05.2018

www.geostat.ge

21.05.2018

**სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების**

**გამოკვლევის ძირითადი შედეგები**

**(2018 წლის I კვარტალი)**

***<u>სასაკლაოები</u>***

2018 წლის I კვარტალში საქართველოში 103 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 19,3% - ქვემო ქართლში, 14,6% - შიდა ქართლში, 14,6% - კახეთში, 13,6% - იმერეთში, 9,7% - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 28,2% სხვა რეგიონებშია განთავსებული:

**საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2018 წლის I კვარტალი**




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის I კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 112,4 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 42,4% მსხვილფეხა, ხოლო 57,6% - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2823,6 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2018 წლის I კვარტლის განმავლობაში 10859,5 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 42,7% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 37,0% - ფრინველის, 14,5% - ღორის, 5,8% - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო 0,1% - სხვაზე.

მომსახურება გაეწია 8,5 ათას პირს, საიდანაც 46,9% შინამეურნეობებების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1099 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა - 22.8 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა - 10,0 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა - 20,5 ლარი.

*__სამაცივრე მეურნეობები__*

2018 წლის I კვარტალში საქართველოში 40 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (25,0%) და ქ. თბილისშია (22,5%) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია შიდა ქართლში (17,5%), იმერეთის (15,0%), ქვემო ქართლის (10,0%), კახეთის (5,0%), გურიის (2,5%) და სამცხე-ჯავახეთის (2,5%) რეგიონში:

**საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2018 წლის I კვარტალი**




2018 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 393 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 187 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 822 კაცით განისაზღვრა.

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 58,9 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 65,6% ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 14,2% პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 10,9% - თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:




სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2018 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 1,6 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3,8 მლნ. ლარი შეადგინა.

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 24,0 მლნ. ლარის ღირებულების (5,7ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (59,4%) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 91,6% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (46,9%), თევზეული (20,9%) და ქათმის ხორცი (19,7%) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ძირითადად ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 51,4%-ს, თებერვალში - 53,8%-ს, ხოლო მარტში - 56,8%-ს.

***ელევატორები***

2018 წლის I კვარტალში საქართველოში 27 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (37,0%) და ქვემო ქართლის (33,4%) რეგიონებში იყო განთავსებული. ელევატორების 14,8% ფუნქციონირებს ქ. თბილისში, 11,1% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 3,7% გურიის რეგიონშია წარმოდგენილი:

**საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2018 წლის I კვარტალი**




2018 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 21 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 97 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 1078 კაცით განისაზღვრა.

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 153,7 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 79,6%-ს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ლობიო, ხახვი და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

**ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2018 წლის I კვარტალი**




2018 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 59,5 მლნ. ლარის ღირებულების 91,0 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 75,4% იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის დაახლოებით 82,8%.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 32,2%-ს, თებერვალში - 32,6%-ს, ხოლო მარტში - 30,3%-ს.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**

**გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge**

**მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge**